



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

დამტკიცებულია:	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N02-2020 დადგენილება	16.01.2020
შეტანილია ცვლილება:*		

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი

მუხლის 1. ზოგადი დებულებები

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი (შემდეგში - „წესი“) განსაზღვრავს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) პლაგიატის პრევენციის, მისი გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესს.
2. აღნიშნული წესით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებზე.

მუხლი 2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმები

1. პირდაპირი პლაგიატი არის სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;
2. პერაფრაზირებული პლაგიატი არის - სხვისი აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა ავტორის მითითების გარეშე;
3. მოზაიკური პლაგიატი არის სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებები, რომლებიც ისეა გაერთიანებული, რომ ცალკეული ავტორები მითითებული არ არის.
4. პლაგიატი დაუდევრობით არის ციტირება დაუდევრობის გამო;

5. თვითპლაგიატი არის ერთი და იმავე ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილების ორჯერ ან მეტჯერ წარდგენა/გამოქვეყნება საკუთარი ნაშრომის ციტირების ან შესაბამისი მითითებისა და უფლების მოპოვების გარეშე.
6. საავტორო უფლებების დარღვევად მიიჩნევა სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე.
7. ფარული თანამშრომლობა სხვების მოტყუების მიზნით გულისხმობს არაუფლებამოსილ/არასანქცირებულ თანამშრომლობას, მიღებული დახმარების არაღიარებას, ჯგუფურ პროექტზე მუშაობისთვის დადგენილი წესების არ გათვალისწინებას.
8. ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია არის ნაშრომში მონაცემების ცვლილება ან/და მონაცემებით მანიპულირება, რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;
9. კომპილაცია წარმოადგენს საკუთარი ნაშრომებისა და საავტორო უფლებით დაცული სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების ან/და ნაშრომების გაერთიანებასა და გამოყენებას;
10. აკადემიური გადაცდომაა სამეცნიერო შედეგების, ლიტერატურის, მასალების, რესურსების მოპარვა, დამალვა ან/და განადგურება იმ მიზნით, რომ არ მოხდეს მათი სხვა პირების მიერ გამოყენება, რაც აბრკოლებს პირის აკადემიური საქმიანობას.
11. წინამდებარე დოკუმენტი არ მოიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ყველა ფორმას, მაგრამ გამოხატავს უნივერსიტეტის ხედვასა და პოლიტიკას აკადემიურ გადაცდომებთან მიმართებით.

მუხლი 3. პლაგიატის შესახებ ინფორმირება და მისი პრევენცია

1. პლაგიატის შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ინფორმირება ხდება ტრენინგებით, საჯარო ლექციებით, შეხვედრებით უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და აღნიშნული წესის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.
2. თჰუ-ის მიერ წინამდებარე წესის დამტკიცების დღიდან აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებს პრევენციის მიზნით ემატება ჩანაწერი აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის ვალდებულების შესახებ;
3. პირველკურსელთათვის საორიენტაციო კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებზე შესაბამისი ფაკულტეტების ადმინისტრაციის მიერ აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული საკითხებისა და საუნივერსიტეტო პოლიტიკის გაცნობა;
4. პლაგიატის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტში ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო კურსებს აკადემიურ წერაში, რომლებიც მოიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხებს.

5. სწავლების პირველივე წლიდან სტუდენტებს ეძლევა წერიტი დავალებები (რეფერატი, პრეზენტაცია, ესსე), რომელთა შესრულებისას დაცული უნდა იყოს აკადემიური წერისა და კეთილსინდისიერების პრინციპები, რაც პრევენციული ფორმით მოქმედებს სტუდენტებზე.

6. საბაკალავრო ნაშრომი და სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში. პლაგიატის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამა, სადაც ხდება საკვალიფიკაციო ნაშრომების (საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომები და ა.შ.) პლაგიატზე შემოწმება.

მუხლი 4. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები

1. პლაგიატის აღმოჩენის ძირითადი მექანიზმებია ლექტორის, ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცეზენტის დასკვნა და ანტიპლაგიატის სისტემა.

2. უნივერსიტეტში შექმნილი ყველა საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი, სამეცნიერო ნაშრომი, სტატია, პუბლიკაცია, მოხსენება, წიგნი, რომელთა მოცულობაც აღემატება 5000 სიტყვას უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურაში საბოლოო სახით წარდგენის მომენტიდან სავალდებულო წესით მოწმდება ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში.

3. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე წერით დავალებაში აშკარა პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ვალდებულია გააუქმოს ნაწერი შეფასების გარეშე და ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

მუხლი 5. პლაგიატის დეტექტირების ელექტრონული სისტემა

1. უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა ნაშრომების პლაგიატზე დეტექტირებისას გამოიყენოს პლაგიატის დეტექტირების ელექტრონული სისტემა და შესაბამისი პროგრამა.

2. პლაგიატის დეტექტირების ელექტრონული სისტემა არის საინფორმაციო ტექნოლოგიური, ელექტრონული ინსტრუმენტი, რომელიც ტექნიკური დოკუმენტების ავთენტურობას ადგენს. სისტემურად იგი უზრუნველყოფს, მოიძიოს და მოახდინოს სხვა წყაროდან ამოღებული ინფორმაციის იდენტიფიცირება. ხელს უწყობს ტექსტის შეფასებას და უთითებს მათ მდებარეობას. ანტიპლაგიატის სისტემა ავლენს გასაანალიზებელ დოკუმენტში იმ იდენტურ ფრაგმენტებს, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში, ინტერნეტ რესურსებში.

3. ანტიპლაგიატის არსებული სისტემა (რომელიც თჰუ-ს მიერ ძირითადად გამოიყენება 2019 წლიდან) ადარებს ყველა ატვირთულ დოკუმენტს შემდეგ მონაცემთა ბაზების წყაროებთან:

3.1. უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში არსებული დოკუმენტები;

3.2. სხვა უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში არსებული დოკუმენტები;

- 3.3. ინტერნეტრესურსები;
- 3.4. მონაცემთა ბაზა;
- 3.5. სამართლებრივ მონაცემთა ბაზა.

მუხლი 6. საკვალიფიკაციო ნაშრომების შემოწმება და სანქციის სახეები

1. ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში მასალის ტექნიკურ ატვირთვას და გადამოწმებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ნაშრომი პროგრამაში აიტვირთება ავტორის მიერ უნივერსიტეტში წარმოდგენის მომენტიდან. მიღებული ელექტრონული დასკვნა ეგზავნება ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს რომელიც განიხილავს და აფასებს დასკვნას. შედეგები ნაშრომის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება ავტორს და ფაკულტეტს.
2. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს უბრუნდება ნაშრომი და ერთჯერადად ეძლევა გონივრული ვადა მის გამოსასწორებლად. ხელმეორედ პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომი არ ფასდება, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ნაშრომი წარმოადგინოს შემდეგ სემესტრში.
3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომზე მიღებულ ელექტრონულ დასკვნას განიხილავს ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან ერთად. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, უნივერსიტეტი მხარს არ დაუჭერს ნაშრომის გამოქვეყნებას. ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენა არის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.
4. ანტიპლაგიატის ელექტრონულ სისტემაში კვლევითი სტატია, პუბლიკაცია, მოხსენება, წიგნი და ა.შ. პროგრამაში უნდა აიტვირთოს მის გამოქვეყნებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.
5. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომისათვის პლაგიატის პროცენტული გაანგარიშებაარ უნდა შეადგენდეს 25%-ზე მეტს (მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე); 17 %-ზე მეტს (2023 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 7. გასაჩივრება, აპელაცია

1. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს უფლება აქვს შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აპელაციით მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს.
2. ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოსთან ერთად იხილავს აპელაციას და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს 7 დღის ვადაში.
3. აპელაციის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.